საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
BAGHDATI MUNICIPALITY GOVERMENT
HALL

ბრძანება:№66. 662502112
თარიღი:21/01/2025

ბაღდათის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები N1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში, მერიის წარმომადგენლობებში, ყოველდღე, 09:30 საათიდან 18:00 საათამდე, 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. მოქალაქეებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ საპროექტო წინადადებები გამოაგზავნონ ელექტრონულად, ამავე ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადამდე, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე - info.baghdati@baghdati.gov.ge.

6. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) ეზეკი ჭრელაშვილი, მობილურის N 599 80 62 44;
ბ) რაინდი ყიფიანი, მობილურის N 595 52 51 25;

გ) დავით კოხოძე, მობილურის N 599 22 19 97;
დ) ივანე კაპატაძე, მობილურის N 591 28 70 70;
ე) ბეჟან ლილუაშვილი, მობილურის N 555 30 98 64;
ვ) ლევან კაცაძე, მობილურის N 595 24 45 87;
ზ) ლევან ჯაბიძე, მობილურის N 595 38 53 38;
თ) ტარიელ ყიფიანი, მობილურის N 596 10 23 71;
ი) პაატა გიორგიძე, მობილურის N 598 39 95 39;
კ) ბესარიონ რობაქიძე, მობილურის N 591 22 89 30;
ლ) გია კიკნაველიძე, მობილურის N 591 23 62 63;
მ) ირაკლი მშვილდაძე,მობილურის N 558 14 47 11;
ნ) ხვიჩა ბურჯანაძე, მობილურის N 599 05 27 10;
ო) გოჩა გოგოლაძე, მობილურის N 595 01 96 29;
პ) ეკატერინე მშვილდაძე,მობილურის N 599 37 16 17;
ჟ) ხათუნა კირკიტაძე,მობილურის N 558 56 88 86;
რ) ზაალ ზივზივაძე, მობილურის N 599 13 63 65;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის:ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11), ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით სილაგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)